პრესრელიზი

3 მაისს,17:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, ბოლნისი, მარნეული)“ პროექტისა და წიგნის პრეზენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე წარმოდგენილ წიგნში პირველად ქვეყნდება თეთრიწყარო, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ლაპიდარული წარწერების დიდი ნაწილი. წარწერათა ქრონოლოგია V-XVIII საუკუნეებით განისაზღვრება. გამოცემაში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი წარწერები, როგორიცაა: 1116/1117 წლების სვერელის ასულ, ასფანის სააღმშენებლო წარწერა დავით IV აღმაშენებლის მოხსენიებით ვაკის იოვანე ნათლისმცელის ეკლესიიდან; 1189 წლის ელმელიქ ფადლისძის სააღმშენებლო წარწერა ორთაფოშთის ეკლესიიდან ერთიანი საქართველოს მეფის, თამარის მოხსენიებით; 1247-1259 წლების მანგლელ ეპისკოპოსის, არსენ მშვილდაისძის სააღმშენებლო წარწერა აბელიის ეკლესიიდან; 1278 წლის გუდარეხის სამრეკლოს სააღმშენებლო წარწერა და სხვ.

კორპუსი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სპეციალისტებს – ეპიგრაფიკოსებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს და სხვ., ასევე ბორჯომის ხეობის წარსულით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

ჩატარებულ სამუშაოებს საზოგადოებას გააცნობს პროექტის ხელმძღვანელი თამაზ გოგოლაძე.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge